



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო  
საქართველოს მთავარი პროკურორი



KA011353157826815

ქ.თბილისი

25 / ნოემბერი / 2015 წ.

ბრძანება № 163-მ

საქართველოს პროკურატურის ორგანოებში სტაჟიორთა  
კონკურსის პროგრამისა და გამსვლელი სატესტო ქულის ბარიერის  
განსაზღვრის შესახებ

„პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, „საქართველოს პროკურატურის ორგანოებში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2014 წლის 15 აგვისტოს №43 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს პროკურატურის ორგანოებში სტაჟირების გავლის წესის“ მე-7 მუხლის მეორე პუნქტისა და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის შესაბამისად,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. განისაზღვროს საქართველოს პროკურატურის ორგანოებში სტაჟიორთა კონკურსის პროგრამა და გამსვლელი სატესტო ქულის ბარიერი (დანართი N1, დანართი N2);
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს მთავარი პროკურორის 2015 წლის 07 სექტემბრის №126-მ ბრძანება „საქართველოს პროკურატურის ორგანოებში სტაჟიორთა კონკურსის პროგრამისა და გამსვლელი სატესტო ქულის ბარიერის განსაზღვრის შესახებ“;
3. ეს ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საქართველოს მთავარი პროკურორი

გიორგი ბადაშვილი